

# სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

მომზადებულია სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის  
დაგეგმვისა და კონტროლის სამსახურის მიერ

2015 წლის I  
კვარტლის ანგარიში

## სარჩევი

სააგენტოს საქმიანობის ზოგადი მიმოხილვა .....	3
სააგენტოს მისია .....	3
სააგენტოს ხედვა .....	3
სტრატეგიული მიზნები 2014 – 2015 წლებისთვის .....	3
2015 წელს სააგენტოს მიერ განისაზღვრა 6 სტრატეგიული ამოცანა, რომელთა გადაჭრაზეც, სააგენტოს მენეჯმენტის გადაწყვეტილებით, განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს:.....	4
ამოცანა N1. გაყიდვების პროაქტიულობის გაზრდა და სარგებლის მაქსიმიზაცია/ინტერესთა გამობატვის მიმართულების განვითარება .....	5
Ñ პრივატიზების პროცესი.....	5
Ñ სახელმწიფო ქონების განკარგვისა და პრივატიზების შედეგად შემოსული თანხების შესახებ ინფორმაცია.....	6
Ñ გაყიდვების სტიმულირება .....	7
ამოცანა N2. აღურიცხავი ქონების იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია და მდგომარეობის პირველადი მონიტორინგი .....	9
Ñ სახელმწიფო ქონების ინვენტარიზაციის პროექტი.....	9
Ñ სახელმწიფო ქონების დაცვა .....	11
ამოცანა N3. მომსახურების ხარისხისა და სერვისის განვითარება.....	12
Ñ საინფორმაციო და დისტანციური მომსახურების ცენტრი.....	12
Ñ მომსახურების ცენტრები .....	13
Ñ სააგენტოს ვებ-გვერდი.....	14
Ñ სააგენტოს სერვისების დელეგირება იუსტიციის სახლებში.....	14
Ñ სააგენტოს ვებ-პორტალი .....	15
Ñ უწყებათაშორისი კომუნიკაციის გაუმჯობესებისათვის გატარებული ღონისძიებები.....	16
Ñ ხარისხის მართვის ჯგუფი .....	17
Ñ ადამიანური რესურსების ეფექტური მართვის უზრუნველყოფა .....	18
ამოცანა N4. საწარმოებიდან სარგებლის მაქსიმიზაცია (რაოდენობის ოპტიმიზაცია, ღირებულების შენარჩუნება, მომგებიანობის გაზრდა) .....	19
Ñ კოორდინაციის გაუმჯობესება სახელმწიფო საწარმოებთან მიმართებაში და კონტროლის მექანიზმის სრულყოფა .....	19
Ñ ოპტიმიზაცია-მინიმიზაციის პროცესის მიმდინარეობა.....	20

№ სააგენტოს ვალდებულებები ეროვნული ანტიკორუფციული საბჭოს წინაშე.....	21
ამოცანა N5. პრივატიზებულ/გადაცემულ ქონებაზე შეუსრულებელი ვალდებულებების გამოვლენის და რეაგირების სისტემის განვითარება .....	22
№ შეუსრულებელი ვალდებულებების გამოვლენა და რეაგირება .....	22
ამოცანა N6. ქონების ფლობასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება .....	23
№ ზედდების საკითხების განმხილველი კომისიის საქმიანობა.....	23
№ სახელმწიფო ქონების მართვა-განკარგვა .....	23
სააგენტოში მიმდინარე პროექტები .....	25
№ სააგენტოს მონაწილეობა სამთავრობო პროგრამაში - „აწარმოე საქართველოში.“ .....	25
№ პროექტი „სოფლიდან გაუსვლელად“ .....	26
№ არქივის ინვენტარიზაციის პროექტი .....	27
№ ყარსი-ახალქალაქის ფარგლებში მიწების გამოსყიდვის პროექტი.....	28
№ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სტრატეგიული დაგეგმვის პროექტი .....	28
სააგენტოს პირველი კვარტლის საქმიანობის შეჯამება .....	30

## სააგენტოს საქმიანობის ზოგადი მიმოხილვა

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო 2012 წლის 17 სექტემბერს დაფუძნდა და მისი ფუნქციაა უზრუნველყოს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების მართლზომიერი განკარგვა, მისი მოვლა-პატრონობა და მისი საქმიანობა ორიენტირებულია ქვეყნის განვითარებასა და წინსვლაზე.

სააგენტოს საქმიანობა მოიცავს 3 ძირითად მიმართულებას:



ორგანიზაცია წარმოადგენს სახელმწიფო ქონების მესაკუთრეს, რომელიც მრავალფუნქციური მიდგომის საშუალებითა და სერვისების შეთავაზებით ემსახურება საზოგადოებას. სააგენტოს მომსახურება ხელმისაწვდომია დაინტერესებულ პირთათვის მთელი საქართველოს მასშტაბით.

## სააგენტოს მისია

სააგენტოს მისიაა სახელმწიფო ქონების გარდაქმნა ეკონომიკურ ფასეულობად მომხმარებელზე ორიენტირებული, ხარისხიანი სერვისის შეთავაზების გზით, რათა შედეგად ხელი შეუწყოს ქვეყანაში კარგი მმართველობისა და თავისუფალი ბიზნეს-გარემოს განვითარებას, დაიცვას სახელმწიფოსა და მესაკუთრის კანონიერი ინტერესები.

## სააგენტოს ხედვა

ქვეყანა, სადაც დაცულია ადამიანის უფლებები, აღრიცხული და მოვლილია სახელმწიფო ქონება და ამ ქონების შესახებ ინფორმაცია თანაბრად ხელმისაწვდომი და გამჭვირვალეა თითოეული მოქალაქისათვის.

## სტრატეგიული მიზნები 2014 – 2015 წლებისთვის

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო თავის საქმიანობას ახორციელებდა 2014-2015 წლის სტრატეგიული გეგმის საფუძველზე. გეგმა აერთიანებდა 5 ძირითად მიზანს, რომელიც მიმართული იყო სააგენტოს განვითარებასა და ეფექტურ ფუნქციონირებაზე. სააგენტოს წინაშე არსებული

გამოწვევებიდან გამომდინარე 2014 წლის ბოლოს საკონსულტაციო კომპანია „სინერჯი ჯგუფთან“ გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე „სინერჯი ჯგუფი“ სააგენტოსთან ერთად შეიმუშავებს ორგანიზაციის 2015-2018 წლების სტრატეგიულ გეგმას, მოახდენს განვითარების შესაძლებლობების კვლევასა და ხელს შეუწყობს იდენტიფიცირებული შესაძლებლობების დანერგვის პროცესის სწორად წარმართვას.

სააგენტოს წინაშე მდგარი ყველა ძირითადი გამოწვევისა და განვითარების შესაძლებლობის გათვალისწინებით სააგენტოს მენეჯმენტის მიერ მოხდა ერთწლიან ჭრილში 6 სტრატეგიული ამოცანის დასახვა, მათი პრიორიტეტიზაცია მნიშვნელობის მიხედვით და თითოეული ამოცანის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა.

### **2015 წელს სააგენტოს მიერ განისაზღვრა 6 სტრატეგიული ამოცანა, რომელთა გადაჭრაზეც, სააგენტოს მენეჯმენტის გადაწყვეტილებით, განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს:**

1. გაყიდვების პროაქტიულობის გაზრდა და სარგებლის მაქსიმიზაცია/ინტერესთა გამოხატვის მიმართულების განვითარება;
2. აღურიცხავი ქონების იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია და მდგომარეობის პირველადი მონიტორინგი;
3. მომსახურების ხარისხისა და სერვისის განვითარება;
4. საწარმოებიდან სარგებლის მაქსიმიზაცია (რაოდენობის ოპტიმიზაცია, ღირებულების შენარჩუნება, მომგებიანობის გაზრდა);
5. პრივატიზებულ/გადაცემულ ქონებაზე შეუსრულებელი ვალდებულებების გამოვლენის და რეაგირების სისტემის განვითარება;
6. ქონების ფლობასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება.

წინამდებარე დოკუმენტი ასახავს სააგენტოს მიერ 2015 წლის პირველი 3 თვის განმავლობაში განხორციელებული ღონისძიებების შესაბამისობას, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან, ასევე სააგენტოს ხელმძღვანელობის მიერ დასახულ ამოცანებთან.

**ამოცანა N1. გაყიდვების პროაქტიულობის გაზრდა და სარგებლის მაქსიმიზაცია/ინტერესთა გამოხატვის მიმართულების განვითარება**

• **პრივატიზების პროცესი**


საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სააგენტოში პრივატიზების ან იჯარის ფორმით განკარგვის მოთხოვნით შემოსული დაინტერესებულების რაოდენობა თბილისის მომსახურების ცენტრში სასოფლო სამეურნეო მიწის თაობაზე **325**-ს შეადგენს, ხოლო არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის პრივატიზება/იჯარაზე მიღებული განაცხადების რაოდენობა **278**-ს შეადგენს. რაც შეეხება საქართველოს დანარჩენ რეგიონებში I კვარტლის განმავლობაში შესული დაინტერესების განაცხადების რაოდენობას, ის მოწოდებულია ცხრილის სახით.

მომსახურების ცენტრი	სასოფლო	არასასოფლო
ქვემო ქართლი	810	182
შიდა ქართლი	254	142
კახეთი	214	56
სამცხე-ჯავახეთი	46	57
იმერეთი	75	123
სამეგრელო	218	145
<b>ჯამი</b>	<b>1617</b>	<b>705</b>


საანგარიშო პერიოდის განმავლობაში პრივატიზების დეპარტამენტის დიდ და მცირე კომიტეტებზე (დიდი - **9**, მცირე - **19**), სულ გატანილ იქნა **487** საკითხი (დიდზე - **163**, მცირეზე - **324**). აქედან დიდ კომიტეტებზე დადებითად გადაწყდა **143**, ხოლო უარყოფითად **20**. მცირე კომიტეტებზე დადებითად გადაწყვეტილ საკითხთა რაოდენობა შეადგენს **274**-ს, ხოლო უარყოფითი დასკვნა მომზადდა **50** საკითხზე.

❖ **საანგარიშო პერიოდში გამართულ დიდ და მცირე კომიტეტებზე განხილული საკითხების რაოდენობა:**

■ უარყოფითად გადაწყვეტილი      ■ დადებითად გადაწყვეტილი



ჩატარებული კომიტეტების შედეგად შესაძლებელი გახდა საანგარიშო პერიოდში გამოცხადებულიყო **470** აუქციონი, რაც 2014 წლის IV კვარტლის მონაცემებთან შედარებით 59% არის გაუმჯობესებული. I კვარტალში შედგა **288** აუქციონი, ჩაიშალა **241** და **6** აუქციონი შეწყდა.



- სახელმწიფო ქონების განკარგვისა და პრივატიზების შედეგად შემოსული თანხების შესახებ ინფორმაცია

2015 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით პრივატიზებიდან გეგმით **85 000 000** ლარის მობილიზება არის გათვალისწინებული. პირველი კვარტლის მდგომარეობით სააგენტოს მიერ წლიური გეგმა შესრულებულია 21%-ით, ხოლო პირველი კვარტლის გეგმა 170%-ით. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ერთობლივი ძალისხმევით პრივატიზებიდან სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხული თანხების შესახებ ინფორმაცია კი შემდეგნაირად გამოიყურება:

პერიოდი	გეგმა სახელმწიფო ბიუჯეტში	ფაქტობრივი შემოსავალი ბიუჯეტში	%
I კვარტ.	10 500 000	63 210 460	602

**შემოსულობების** კუთხით პირველი კვარტალში პრივატიზების გეგმის მიხედვით სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო 10 500 000 ლარის მობილიზება, რომელიც სააგენტოს მიერ შესრულებულია 170%-ით, რაც 17 803 600 ლარს შეადგენს.

- გაყიდვების სტიმულირება

2015 წლის I კვარტალში მოხდა სააგენტოს პრივატიზების დეპარტამენტის გაყიდვების სამსახურის ახალი კადრებით შევსება. აგრეთვე, მიმდინარეობს სამსახურის ხელმძღვანელის შერჩევა და დანიშვნა. სრულად დაკომპლექტების შემდეგ სამსახური აქტიურად ჩაერთვება სააგენტოს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანის



გაყიდვების პროაქტიულობის გაზრდა და სარგებლის მაქსიმიზაცია/ინტერესთა გამოხატვის მიმართულების განვითარება) გადაჭრის პროცესში. ამ მიმართულებით გაყიდვების სამსახურს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება, ვინაიდან სამსახურის მთავარი ფუნქცია ქონების პოტენციური შემძენ(ებ)ის ან მართვის/სარგებლობის უფლებით მიმღები პირების მოძიება და მათთან მოლაპარაკებების წარმართვა, ასევე გადასაცემი ქონების შესახებ გასავრცელებელი ინფორმაციის მომზადება, გავრცელების არხების განსაზღვრა და ინფორმაციის პროაქტიულად გავრცელებაა.


კომპანიამ Colliers International პირველად საქართველოში, საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით, 2014 წელს საქართველოს უძრავი ქონების ბაზრის მასშტაბური კვლევა ჩაატარა. აღნიშნული კვლევის დახმარებით, სააგენტოს გაუჩნდა შესაძლებლობა გამოავლინოს რეგიონების მიხედვით სხვადასხვა დარგებში მოთხოვნადი უძრავი ქონებები და შესთავაზოს ინვესტორებს. გაყიდვების მხარდაჭერის კუთხით colliers international – თან ერთად შემუშავდა მსხვილი საპრივატიზებო ობიექტების ტიზერები, რომელსაც საინვესტიციო სააგენტოები გამოიყენებენ, როგორც მსხვილ ინვესტორებთან მოლაპარაკებების, ასევე საერთაშორისო უძრავი ქონების გამოფენების დროს.






საანგარიშო პერიოდში, სააგენტოს ვებ-გვერდზე შეიქმნა მსხვილი ქონებების საპრივატიზებო ნუსხა, სადაც მოთავსდა 15 ქონება და ინფორმაცია გავრცელდა სააგენტოს არსებულ ყველა მარკეტინგული არხის გამოყენებით. რეიტინგულ ინტერნეტ გამოცემა bpn.ge-ზე განთავსდა 50 აუქციონი, რომელიც შეირჩა მოთხოვნიდან

შედეგები | საპრივატიზაციო ქონებების ნუსხა



იპრა, საფარიტო ქუჩა  
2200-02-01-01-01-01  
ფართობი: 1000 კვ.მ. საფარიტო ქუჩის მხარეს, საფარიტო ქუჩის ნაკვეთი 23042  
მფლობელი: შპს "საპრივატიზაციო ქონების ნუსხა"



ნაღებო, რეკონსტრუქციის და რეაბილიტაციის სამუშაოების შესრულების მიზნით  
საპრივატიზაციო კოდი: 29.08.02.001 მინი ფართობი: 22, 316 კვ.მ.



ნაღებო, რეკონსტრუქციის და რეაბილიტაციის სამუშაოების შესრულების მიზნით  
საპრივატიზაციო კოდი: 29.08.02.001 მინი ფართობი: 22, 316 კვ.მ.



ნაღებო, რეკონსტრუქციის და რეაბილიტაციის სამუშაოების შესრულების მიზნით  
საპრივატიზაციო კოდი: 29.08.02.001 მინი ფართობი: 22, 316 კვ.მ.

გამომდინარე. ხოლო რეგიონალური მომსახურების ცენტრებში დარიგდა 150 სარეკლამო ბანერი, სადაც დატანილია ინფორმაცია კონკრეტული ქონების გაყიდვის შესახებ.

აქვე უნდა ითქვას, რომ გაყიდვების სტიმულირებისთვის სააგენტოში მიმდინარეობს სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომლის ფარგლებშიც მოხდება გაყიდვების სტრატეგიის და გეგმის შემუშავება/დამტკიცება. აგრეთვე ინტერესთა გამოხატვის მიმართულების განვითარების მიზნით მოხდება ინვენტარიზაციის პროექტის ფარგლებში მოძიებული ყველაზე დიდი პოტენციალის მქონე საპრივატიზაციო ქონებების გამოვლენა და მათი შესწავლა. შემდგომ ეტაპზე იგეგმება ამ ობიექტების შესაძლო დანიშნულების/გამოყენების მიხედვით რანჟირება და რანჟირებული პრიორიტეტული საპრივატიზაციო ობიექტისთვის საუკეთესო დანიშნულების მოძიება. ბოლოს კი ამ ქონების შეძენით რაც შეიძლება მეტი დაინტერესებული პირის/ორგანიზაციის მოძიება და მათთვის ქონების ეფექტურად შეთავაზება. ამ ამოცანის გადასაჭრელად სააგენტოს გაყიდვების სამსახურის გარდა სააგენტოს სხვა სტრუქტურული ერთეულებიც (გაყიდვების მხარდაჭერის სამსახური, მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, სახელმწიფო საწარმოთა მართვის სამსახური, სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და მონიტორინგის დეპარტამენტი და სხვა) აქტიურად იქნებიან ჩართულები.

## ამოცანა N2. აღურიცხავი ქონების იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია და მდგომარეობის პირველადი მონიტორინგი

- სახელმწიფო ქონების ინვენტარიზაციის პროექტი

წლების მანძილზე სახელმწიფო ქონების გარკვეული ნაწილი იყო აღურიცხავი და სააგენტო მოკლებული იყო შესაძლებლობას თავად გაეკეთებინა სრულყოფილი შეთავაზება სახელმწიფო ქონების შეძენით დაინტერესებული პირისთვის. ასეთ ვითარებაში რთულია ეფექტური პოლიტიკის ჩამოყალიბება ქონების გონივრულ და ეფექტურ განკარგვასთან დაკავშირებით. სახელმწიფო ქონების ინვენტარიზაციის შედეგად სააგენტოს ექნება ზუსტი ინფორმაცია იმის თაობაზე თუ რა ქონებას ფლობს სახელმწიფო. აღნიშნული მონაცემები განთავსდება სააგენტოს ელექტრონულ პორტალზე, რის საფუძველზეც სახელმწიფო ქონების პრივატიზებით დაინტერესებულ პირებს ექნებათ შესაძლებლობა მიიღონ სრულყოფილი ინფორმაცია განსაკარგავი ქონების შესახებ.



სააგენტომ სახელმწიფო ქონების ინვენტარიზაციის საპილოტე პროექტი 2013 წლის მარტიდან დაიწყო. 2014 წლის ბოლოსთვის პროექტის ფარგლებში აღწერილი იყო თბილისის 15 რაიონი (დარჩენილია 12 რაიონი) და გარდაბნის მუნიციპალიტეტის ნაწილი. შედეგად თბილისში გამოვლინდა 625, ხოლო გარდაბანში -

122 აღურიცხავი სახელმწიფო ობიექტი (აღმოჩენილი ობიექტების საერთო ფართობი დაახლოებით - 5,5 მლნ კვ.მ.).



2015 წელს კი სააგენტომ სახელმწიფო ქონების ინვენტარიზაციის სრულმასშტაბიანი პროექტი დაიწყო. ინვენტარიზაციის მასშტაბური პროექტი ითვალისწინებდა სააგენტოს სამხარეო ცენტრებში 14, ხოლო თბილისის ტერიტორიაზე 3 ორ-კაციანი მობილური ჯგუფის ჩამოყალიბებას. ინვენტარიზაციის

სრულმასშტაბიანი პროექტის ფარგლებში თებერვლის თვეში სააგენტოს 31 ახალმა შტატგარეშე თანამშრომელმა იუსტიციის სასწავლო ცენტრში გადამზადება გაიარა.

პროექტის ფარგლებში სამუშაოების უკეთ კოორდინირების მიზნით შემუშავდა ინვენტარიზაციის გეგმა თვეების ჭრილში, რეგიონების მიხედვით. ასევე მომზადდა ინსტრუქცია, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ინვენტარიზაციის პროცესის უკეთეს წარმართვას.

2015 წლის I კვარტლის განმავლობაში აღწერილია თბილისის 1 რაიონი (დარჩენილია 11 რაიონი). აღნიშნული სამუშაოების შედეგად აღმოჩენილია 33 აღურცხავი სახელმწიფო ობიექტი, რომელთა საერთო ფართობიც შეადგენს 37 494.60 კვ.მ.-ს, ხოლო რეგიონებში აღმოჩენილია 1 369 სახელმწიფო ობიექტი, რომელთა საერთო ფართობიც შეადგენს 69 574 405 კვ.მ.

❖ საანგარიშო პერიოდში ინვენტარიზაციის პროექტის ფარგლებში აღმოჩენილი ობიექტების რაოდენობა და ფართობი:

რეგიონი	აღმოჩენილი ობიექტების რაოდენობა	აღმოჩენილი ობიექტების ფართობი
1 ქვემო ქართლი	107	605369
2 შიდა ქართლი	361	32194008
3 კახეთი	182	17974993
4 სამცხე-ჯავახეთი	407	14113601
5 იმერეთი	119	1516967
6 სამეგრელო	193	3169467
<b>ჯამი</b>	<b>1 369</b>	<b>69 574 405</b>

რაც შეეხება აღმოჩენილი ქონების სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრაციის საკითხს, სააგენტოს პოლიტიკიდან გამომდინარე, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების ზედდების შემთხვევების თავიდან ასარიდებლად, აღნიშნული პროცესი დიდი სიფრთხილით მიმდინარეობს. სააგენტო ობიექტის სახელმწიფო საკუთრებად დარეგისტრირებას ახდენს მას შემდეგ, რაც საბოლოოდ მტკიცდება კონკრეტული ობიექტის სახელმწიფო კუთვნილება.

2015 წლის I კვარტლის მონაცემებით, სახელმწიფო საკუთრებად დარეგისტრირდა თბილისში 465 ობიექტი და რეგიონულ მომსახურების ცენტრებში - 29 ობიექტი, რომელთა საერთო ფართობიც შეადგენს თბილისში 331 060 კვ.მ.-ს და რეგიონებში 172 439.



ინვენტარიზაციის სრულმასშტაბიანი პროექტის ფარგლებში სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მომსახურების ცენტრებში 9 ახალგაზრდა არაანაზღაურებად სტაჟირებას გაივლის. სტაჟიორები სააგენტოს ადამიანური რესურსების სამსახურმა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში კონკურსის წესით შეარჩია.

ორთვიანი სტაჟირების მიზანია დამწყებ სპეციალისტებს მიეცეთ ინიციატივის გამოვლენის შესაძლებლობა, აიმაღლონ კვალიფიკაცია, გამოიმუშავონ პრაქტიკული უნარ-ჩვევები და მოახდინონ თეორიული ცოდნის სრულყოფა. სტაჟიორებს საშუალება მიეცემათ შეისწავლონ ინვენტარიზაციისთვის საჭირო გეოლოგიური და გეოფიზიკური ხელსაწყოების გამოყენება და უშუალოდ მიიღონ მონაწილეობა ინვენტარიზაციის პროცესის და აზომვით სამუშაოების განხორციელებაში.

- **სახელმწიფო ქონების დაცვა**

შეჭრისა და გამარცხის საფრთხის თავიდან ასაცილებლად სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ობიექტების ნაწილი საჭიროებს დაცვას. რიგ ობიექტებზე არაკანონიერად არიან შეჭრილები იძულებით გადაადგილებული და სოციალურად დაუცველი პირები. ასევე არის ისეთი ობიექტები, რომლებიც უკანონოდ აქვთ დაკავებული კომერციული საქმიანობის მიზნით. არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ ინვენტარიზაციის პროცესის პარალელურად აღმოჩენილი იქნება უკანონოდ დაკავებული სხვა ქონებაც.

2015 წლის 1 აპრილის მდგომარეობით დაცვის ქვეშ მყოფი სახელმწიფო ობიექტების რაოდენობა შეადგენს 44-ს. დასაცავი ობიექტების დიდი ნაწილი განთავსებულია თბილისში და შიდა ქართლის რეგიონში.


სამომავლოდ იგეგმება აღრიცხული ქონების პერიოდულად შემოწმება, მის ფაქტობრივ მდგომარეობაში მომხდარი ცვლილების აღმოჩენის მიზნით, რაც დაეხმარება სააგენტოს სახელმწიფო ქონების მოვლა/პატრონობის ფუნქციის უკეთ გახორციელებაში.

რეგიონი	დაცვის ქვეშ მყოფი ობიექტები
1 თბილისი	16
2 კახეთი	0
3 იმერეთი	6
4 სამეგრელო	4
5 სამცხე-ჯავახეთი	3
6 ქვემო-ქართლი	3
7 შიდა-ქართლი	12

### ამოცანა N3. მომსახურების ხარისხისა და სერვისის განვითარება

- საინფორმაციო და დისტანციური მომსახურების ცენტრი

საინფორმაციო და დისტანციური მომსახურების სამსახურში მნიშვნელოვანი სამუშაოები იქნა ჩატარებული სერვისის გაუმჯობესების მიმართულებით. მნიშვნელოვნად შემცირდა უპასუხო ზარების რაოდენობა. 2015 წლის პირველი სამი თვის მონაცემებით სააგენტოს საინფორმაციო და დისტანციური მომსახურების სამსახურმა უპასუხა **5 622** ზარს, რაც 2014



წლის მეოთხე კვარტლის მონაცემებზე **243** ზარით მეტია. მომსახურების საშუალო ხანგრძლივობა შეადგენს 3 წუთს.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სატელეფონო და დისტანციური

მომსახურების ცენტრმა On-line chat-ის მეშვეობით **834** მომხმარებელს გაუწია კონსულტაცია. მოცემული სერვისის საშუალებით მომხმარებელს ეძლევა საშუალება მიიღოს სრულყოფილი ინფორმაცია სააგენტოს კომპეტენციას მიკუთვნებულ ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით. გასული კვარტლის განმავლობაში ასევე გააქტიურდა სააგენტოს საქმიანობასთან დაკავშირებული განაცხადების ელექტრონულად მიღების უმნიშვნელოვანესი არხიც - [info@nasp.gov.ge](mailto:info@nasp.gov.ge), რომლის მეშვეობითაც დისტანციური მომსახურების სამსახურმა **231** განმცხადებელს სააგენტოს პასუხი ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მიაწოდა.

• მომსახურების ცენტრები



გასული კვარტლის განმავლობაში თბილისის მომსახურების ცენტრი მოემსახურა **8 430** მოქალაქეს. აღნიშნულ მომხმარებელთა **31%** -მა სააგენტოს მიმართა განცხადებით, რაც **2 613** განაცხადის ტოლია. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თბილისის მომსახურების ცენტრმა 2015 წლის მარტში **3 302** მომხმარებელს გაუწია მომსახურება, რაც 2014-2015

წლების სტატისტიკის მიხედვით ყველაზე დიდი რაოდენობაა. თბილისში მდებარე უძრავი ქონებით დაინტერესებული პირების მიერ შემოტანილი განაცხადების რაოდენობაც სხვა თვეებთან შედარებით ყველაზე მაღალი მარტის თვეში დაფიქსირდა - **118** დაინტერესება. აქვე უნდა ითქვას, რომ მარტის თვეში წინა პერიოდთან შედარებით, თბილისის მომსახურების ცენტრიდან გაცემულია ყველაზე დიდი რაოდენობის წერილი - **382**.

რაც შეეხება ტერიტორიულ მომსახურების ცენტრებში განვლილი კვარტლის განმავლობაში შესული კორესპონდენციის რაოდენობას, ის **7 833** განაცხადის ტოლია, აქედან პირველადი განაცხადების რიცხვი **2 856**-ს შეადგენს. მათი განაწილება რეგიონალური მომსახურების ცენტრების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება:

რეგიონი	შემოსული კორესპონდენცია	პირველადი განაცხადი
1 ქვემო ქართლი	2769	1207
2 შიდა ქართლი	1224	410
3 კახეთი	865	305
4 სამცხე-ჯავახეთი	503	179
5 იმერეთი	1201	369
6 სამეგრელო	1271	386
ჯამი	7833	2856

სააგენტოს მასშტაბით მომსახურების ერთიანი სტანდარტის უზრუნველსაყოფად 2015 წლის დასაწყისში თელავის და რუსთავის რეგიონალური მომსახურების ცენტრში მოეწყო მოქალაქეთა სივრცის ერთიანი კორპორატიული ინტერიერი, სადაც გათვალისწინებულია მოქალაქეებისთვის მოსაცდელი სივრცეც. იგივე სტანდარტი ეტაპობრივად დაინერგება სხვა რეგიონებშიც.

- სააგენტოს ვებ-გვერდი



2014 წლის მარტიდან მოქმედებს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდი. საიტის, რომლის მისამართია [www.nasp.gov.ge](http://www.nasp.gov.ge), მეშვეობით ყველა დაინტერესებულ პირს საშუალება აქვს მიიღოს სააგენტოსთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის ინფორმაცია.

მთლიანობაში საანგარიშო პერიოდში სააგენტოს ვებ-გვერდს 12 500 მოქალაქე ესტუმრა. მათი საშუალო ვიზიტის ხანგრძლივობა 8 წუთს შეადგენდა. მნიშვნელოვანია ითქვას, რომ ვებ-პორტალის ვიზიტორების დიდი ნაწილის ინტერესი გამოიწვია გასულ კვარტალში სააგენტოს ვებ-გვერდზე შექმნილმა მსხვილი ქონებების საპრივატიზებო ნუსხამ, სადაც განთავსდა 15 ქონება.

- სააგენტოს სერვისების დელეგირება იუსტიციის სახლებში



სააგენტოს უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს იყოს ხელმისაწვდომი და მოქალაქეებს შესთავაზოს სწრაფი და ეფექტური მომსახურება ქვეყნის მასშტაბით. ამ მიზნის მისაღწევად წლის დასაწყისში სააგენტომ - სსიპ „იუსტიციის სახლთან“ გააფორმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სერვისების

დელეგირების თაობაზე.

საპილოტე რეჟიმში 2015 წლის იანვრის ბოლოდან სააგენტოს სერვისები მიწოდებულ იქნა მარნეულის იუსტიციის სახლში. იუსტიციის სახლს მარნეულის ფილიალის საპილოტე რეჟიმისთვის შერჩევა ამ რეგიონში მომხმარებლების მიერ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სერვისზე არსებულმა დიდმა მოთხოვნამ განაპირობა.

მარნეულის იუსტიციის სახლის მიერ სააგენტოს სერვისებთან დაკავშირებით 2015 წლის თებერვლის და მარტის თვეში მიღებულია **439** განცხადება, მათ შორის პრივატიზების ან იჯარის ფორმით განკარგვის მოთხოვნით შემოსული განცხადების რაოდენობა **340-ის** ტოლია. ამავე პერიოდში გაცემულია **60** მომზადებული პასუხის წერილი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წლის განმავლობაში პროცესს ეტაპობრივად დანარჩენი იუსტიციის სახლებიც შეუერთდებიან. აღნიშნული ხელს შეუწყობს სააგენტოს საქმიანობის გამჭვირვალობასა და მისი სერვისების ხელმისაწვდომობას ქვეყნის მასშტაბით.

- **სააგენტოს ვებ-პორტალი**

საქართველოს მთავრობის 2015 წლის სამოქმედო გეგმის ნაწილია სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და განკარგვის ერთიანი ელექტრონული პორტალის შექმნა. აგრეთვე 2015-2016 წლების ანტიკორუფციული გეგმის ფარგლებში სააგენტო ვალდებულია საპრივატიზებო ობიექტების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდა უზრუნველყოს, ხოლო ამ ვალდებულების შესრულებისათვის კი აუცილებელია ქონების აღრიცხვისა და განკარგვის ელექტრონული პორტალის შექმნა და გაშვება. აღნიშნულიდან გამომდინარე ნათელია, რომ პორტალის დანერგვის პროცესის უზრუნველყოფა სააგენტოს ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა.

პორტალის დანერგვის შედეგად კი სააგენტო მიიღებს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და განკარგვის ერთიან ელექტრონულ სისტემას, პორტალის მეშვეობით დანერგილი იქნება სახელმწიფო ქონებასთან დაკავშირებული ელექტრონული სერვისები, ასევე პორტალზე განთავსებული იქნება ინფორმაცია საქართველოს მასშტაბით მოძიებული და აღრიცხული (მათ შორის ინვენტარიზაციის პროექტის შედეგად აღმოჩენილი ობიექტები) ობიექტების შესახებ. გარდა ამისა, ახალი პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენების შედეგად შესაძლებელი იქნება, როგორც სხვადასხვა პროცესების გამარტივება, ასევე შრომითი რესურსის დაზოგვა. ამ პორტალის გამოყენების კიდევ ერთ დადებით ასპექტს წარმოადგენს ის გარემოება, რომ სააგენტოს შესაძლებლობა მიეცემა დანერგოს დაჩქარებული ელექტრონული სერვისები.



მოცემული მომენტისათვის სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს“ მიერ მომზადებულია სახელმწიფო ქონების პრივატიზების მოდული და ხარვეზების/ნაკლოვანების აღმოფხვრის მიზნით მიმდინარეობს პროგრამის ტესტირება, რომელშიც აქტიურად ჩართულები არიან სააგენტოს პრივატიზების დეპარტამენტის თანამშრომლები, ასევე სხვა სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლებიც.

აგრეთვე მიმდინარეობს მონიტორინგის მოდულის ამოცანის დამუშავება საჯარო რეესტრის ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტთან ერთად. მონიტორინგის პროგრამული მოდულის საშუალებით განხორციელდება სახელმწიფო ვალდებულებათა მონიტორინგის სამსახურში სახელმწიფო ვალდებულებების აღრიცხვა და თანამდევით კონტროლი ხელშეკრულების დადებიდან მის დასრულებამდე.

- **უწყებათაშორისი კომუნიკაციის გაუმჯობესებისათვის გატარებული ღონისძიებები**

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო თავის საქმიანობის განხორციელების პროცესში მჭიდროდ თანამშრომლობს სხვადასხვა საჯარო თუ კერძო უწყებებთან და სახელმწიფო ქონების მართვა/განკარგვასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისას ითვალისწინებს ამ უწყებებიდან მიღებულ მოსაზრებას ან/და თანხმობას. სხვადასხვა უწყებებიდან კორესპონდენციის დროული მიღება მნიშვნელოვნად დააჩქარებს პრივატიზების, მათ შორის საინვესტიციო პროექტების განხორციელების პროცესებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2015 წლის დასაწყისში სააგენტომ და სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს“ ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტმა დაიწყო ერთობლივი მუშაობა კონსოლიდირებული რეაგირების პორტალის CRP დანერგვაზე, რომელიც მნიშვნელოვნად დააჩქარებს და გაამარტივებს სხვადასხვა საჯარო თუ კერძო სტრუქტურებთან ინფორმაციის გაცვლის სისტემას. იანვრის თვეში სააგენტოს მოთხოვნების შესაბამისად ჩამოყალიბდა პროექტის შინაარსის დოკუმენტი - ტექნიკური დავალება და აქტიურად მიმდინარეობდა პროგრამის შექმნის ფაზა. თებერვლის თვეში კი დაიწყო პორტალის დანერგვის ფაზა, რომელიც მოიცავდა პორტალში ჩართული უწყებების

თანამშრომლებისთვის პორტალის პრეზენტაციას და ტრენინგებს, ასევე მომხმარებელთა სისტემაში რეგისტრაციის პროცესს. დღეის მდგომარეობით პორტალში ჩართულია 40-მდე კერძო და სახელმწიფო ორგანიზაცია, შესაბამისად სააგენტოს შესაძლებლობა მიეცა მარტივი



და ეფექტური კონტროლის ბერკეტებით ჰქონდეს კავშირი ყველა საჭირო სახელმწიფო უწყებასთან და/ან კერძო ბიზნეს კომპანიასთან, მათ შორის მათთან, ვინც არ არის ჩართული ელექტრონული კორესპონდენციის სისტემაში.

შემდგომ ეტაპზე იგეგმება კონსოლიდირებული რეაგირების პორტალში სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოების ჩართვაც, რაც საშუალებას მოგვცემს შემჭიდროვებულ ვადებში საწარმოებთან მოვახდინოთ დოკუმენტბრუნვის სწრაფი გაცვლა და რეაგირება.

- **ხარისხის მართვის ჯგუფი**


სააგენტოს ერთ-ერთი პრიორიტეტული ამოცანაა მომსახურების ხარისხის ამაღლება, მომსახურების ცენტრებში მომსახურების ერთიანი სტანდარტის დანერგვა, სერვისების დივერსიფიკაცია და დანერგვა, ასევე სააგენტოს ბიზნეს პროცესების შესაბამისობაში მოყვანა. ამ მხრივ არსებული მდგომარეობის შეფასების შედეგად, სააგენტოს ხელმძღვანელობის მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის დაგეგმვისა და კონტროლის სამსახურში ერთი თანამშრომლის „მომსახურების ხარისხის კონტროლის მენეჯერის“ გამოყოფის შესახებ, რომლის ფუნქცია იქნება მომსახურების ხარისხის მიმართულებით არსებული პრობლემების/ხარვეზების დროულად გამოვლენა და რეაგირების უზრუნველყოფა. გარდა ამისა, შეიქმნება სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მომსახურების ხარისხთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი ჯგუფი. აღნიშნული ჯგუფი განიხილავს მომსახურებაში გამოვლენილ ხარვეზებს და უზრუნველყოფს მათ აღმოსაფხვრელად შესაბამისი ღონისძიებების გატარებას.

- ადამიანური რესურსების ეფექტური მართვის უზრუნველყოფა

❖ პირველი კვარტლის ბოლოს სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში დასაქმებულია:

შტატისა	შტატგარეშე	მოვალეობის შემსრულებელი	გამოსაცდელი ვადით
201	80	3	2

❖ გენდერული ბალანსი სააგენტოს თანამშრომლებს შორის:



სააგენტოში კვლავ გრძელდება წარმატებული თანამშრომლების პერიოდული წახალისება-დაჯილდოვება. პირველი კვარტლის განმავლობაში განხორციელდა 18 თანამშრომლის დაწინაურება, აგრეთვე გამოვლინდნენ ის თანამშრომლები, რომლებსაც ხელმძღვანელობის მხრიდან გამოეცხადათ მაღლობა სამსახურებრივ მოვალეობათა სანიმუშო შესრულებისა და კეთილსინდისიერი სამსახურისათვის.

ასევე საქმიანობის სრულყოფისა და მუდმივი განვითარებისათვის სააგენტოში უწყვეტ პროცესად მიმდინარეობს თანამშრომელთა კვალიფიკაციისა და ცოდნის, ასევე მომსახურების ხარისხის კონტროლი. ადამიანური რესურსების მართვის სამსახურმა ჩაატარა ტრენინგების საჭიროების ანალიზი, რის საფუძველზეც ჩამოყალიბდა 2015 წლის ტრენინგების გეგმა. I კვარტალში ჩატარდა შიდა ტრენინგები („ქონების ცნება და მისი რეგისტრაცია, სახელმწიფო და მუნიციპალური ქონების გამიჯვნა, მათი მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების ზოგადი მიმოხილვა“ და „პრივატიზების სამი მოდელი, საპრივატიზებო საფასური“), სადაც თანამშრომელთა შერჩევა განხორციელდა სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე (ტრენინგებს დაესწრო 45 თანამშრომელი).



გარდა ამისა სააგენტოს მომსახურების ცენტრების 4 თანამშრომელმა გაირა ავტორიზაციის ტრენინგი „NARPWEB“, ხოლო 31 ახალ შტატგარეშე თანამშრომელს ჩაუტარდათ ტრენინგი აზომვითი სამუშაოების სრულყოფისათვის.

**ამოცანა N4. საწარმოებიდან სარგებლის მაქსიმიზაცია (რაოდენობის ოპტიმიზაცია, ღირებულების შენარჩუნება, მომგებიანობის გაზრდა)**

- კოორდინაციის გაუმჯობესება სახელმწიფო საწარმოებთან მიმართებაში და კონტროლის მექანიზმის სრულყოფა



საანგარიშო პერიოდის ბოლოს სააგენტოს მართვის ქვეშ იმყოფება სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული 336 საწარმო. 2015 წლის დასაწყისში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული სახელმწიფო საწარმოების ეფექტიანობის შემოწმების შედეგად გამოვლინდა 70 სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმო, რომლებიც

დაემატა არსებული საწარმოების რაოდენობას. ამ საწარმოებთან მიმართებაში სააგენტოში მიმდინარეობს პოლიტიკის შემუშავება შემდგომი რეაგირების უზრუნველსაყოფად.

დღეის მდგომარეობით, არსებული სახელმწიფო საწარმოდან ეკონომიკურ საქმიანობას მხოლოდ 77 ეწევა, დანარჩენი კი მიეკუთვნება უმოქმედო საწარმოთა რიცხვს. უკანასკნელთან მიმართებაში სააგენტო იყენებს მინიმიზაციის პოლიტიკას, რაც გულისხმობს მათი რეგისტრაციების გაუქმებას ლიკვიდაციის, გაკოტრების ან რეორგანიზაციის გზით. რეგისტრაციების გაუქმების შედეგად სახელმწიფო საწარმოების კაპიტალიდან ხდება იმ ქონების ამოღება, რომელიც შემდგომში ექვემდებარება პრივატიზებას და გარდაიქმნება ქვეყნისთვის ეკონომიკურ სარგებლად.

პირველ კვარტალში სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების მართვისა და კოორდინაციის სისტემის სრულყოფის მიმართულებით კვლავ გრძელდებოდა აქტიური მუშაობა. სააგენტო კვლავ აქტიურად თანამშრომლობს მოქმედი საწარმოების

ხელმძღვანელობასთან. გამომდინარე იქედან, რომ საწარმოების მიერ მოწოდებული ბიზნეს-გეგმები მნიშვნელოვან შესწორებებსა და ცვლილებებს საჭიროებს, სააგენტო გასულ კვარტალში კვლავ გასცემდა კონსულტაციებს სახელმწიფო საწარმოების თანამშრომლებთან. მომავალში ეს შესაძლებელს გახდის მათ მიერ მოწოდებული ფინანსური და სხვა სახის ინფორმაცია რელევანტური იყოს დღევანდელ მოთხოვნებთან. განსახილველი პერიოდის განმავლობაში მიღებული 44 ბიზნეს-გეგმის პროექტიდან დამტკიცდა 12, დასამტკიცებლად მომზადებულია 9, ხოლო დამუშავებისა და განხილვის პროცესშია 23.

- **ოპტიმიზაცია-მინიმიზაციის პროცესის მიმდინარეობა**

სააგენტო ახორციელებს სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოების რაოდენობის ოპტიმიზაციის პროცესს, რომელიც მიზნად ისახავს სახელმწიფოს დაქვემდებარებაში არსებული უმოქმედო საწარმოების რაოდენობის შემცირებას. გასულ კვარტალში ამ მიმართულებით სააგენტოს მიერ განხორციელდა შემდეგი ქმედებები:

- ❖ 2015 წლის I კვარტალში გაკოტრებული საწარმოების რიცხვი:

თბილისი	რეგიონები
6	19

- ❖ საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის გაკოტრების პროცესში მყოფი საწარმოების რაოდენობა:

თბილისი	რეგიონები
6	13

- ❖ საანგარიშო პერიოდში მართვის უფლებით გადაცემული საწარმოების რაოდენობა:

თბილისი	რეგიონები
0	1

- ❖ საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების კაპიტალიდან ამოღებული სახელმწიფო საკუთრებაში დასარეგისტრირებელი ქონება:

თბილისი	რეგიონები
7	8

- სააგენტოს ვალდებულებები ეროვნული ანტიკორუფციული საბჭოს წინაშე



მნიშვნელოვანია ითქვას, რომ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო ანტიკორუფციულ საბჭოს მუდმივი წევრია და ჩართული იყო 2015-2016 წლების ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის შემუშავებაში.

სამოქმედო გეგმაში სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო ორი ვალდებულებით არის წარმოდგენილი.

ერთ-ერთი ვალდებულება ეხება სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებს და ითვალისწინებს ამ საწარმოებში კეთილსინდისიერებისა და ანტიკორუფციული პროგრამების იმპლემენტირებას, კერძოდ:

- სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს საქმიანობის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის დახვეწა;
- გრძელვადიან სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მიღწევის მიზნით ეფექტური პრიორიტეტებისა და ღონისძიებების განსაზღვრა;
- სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების ანგარიშგების პროცესის სრულყოფა;
- სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებში მენეჯერული რგოლის კონკურსის წესით დანიშვნის მიზნით წინადადებების შემუშავება;
- სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების მმართველი რგოლისთვის ანტიკორუფციულ საკითხებზე ტრენინგების ორგანიზება;
- უმოქმედო და არამომგებიანი სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების შემცირება;
- სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების მიმართულებით გატარებული ანტიკორუფციული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება სააგენტოს ვებ-გვერდზე.

ამოცანა N5. პრივატიზებულ/გადაცემულ ქონებაზე შეუსრულებელი ვალდებულებების გამოვლენის და რეაგირების სისტემის განვითარება

- შეუსრულებელი ვალდებულებების გამოვლენა და რეაგირება

ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებისა და ინვესტორების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ინიციატივით, „სახელმწიფო ქონების შესახებ საქართველოს კანონში“ შესული ცვლილებებით (მუხლი 48) სახელმწიფო ქონების შემძენ(ებ)ს და მართვის/სარგებლობის უფლებით მიმღებ პირებს ეპატიათ შესაბამისი ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესახებ ინფორმაციის არმიწოდებით დაკისრებული პირგასამტეხლო 2014 წლის 1 იანვრამდე. ასევე, სახელმწიფო ქონების უზუფრუქტუარს ეპატია ხელშეკრულებით ნაკისრი, გადაცემული ქონების დაზღვევის ან/და კომუნალური გადასახადების გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობით დაკისრებული პირგასამტეხლო. 2015 წლის პირველი სამი თვის განმავლობაში განხორციელდა 15 კონტრაქტის გათავისუფლება დაკისრებული პირგასამტეხლოსგან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ სააგენტო მის ხელთ არსებული ყველა შესაძლო ინსტრუმენტით ცდილობს წვლილი შეიტანოს ქვეყანაში ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებისა და საინვესტიციო გარემოს გაჯანსაღების პროცესში.

ამოცანა N6. ქონების ფლობასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება

- **ზედდების საკითხების განმხილველი კომისიის საქმიანობა**

სსიპ "სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს" 2012 წლის 16 ოქტომბრის №1/1-90 ბრძანებით შექმნილი კომისია სისტემატურად განიხილავს მიწის მიკუთვნებისა და საკუთრების ზედდების თაობაზე სააგენტოში შემოსულ საკითხებს. 2015 წლის 01 იანვრიდან 2015 წლის 1 აპრილამდე ჩატარდა 5 სხდომა, რომლებზეც განხილულ იქნა სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებასთან დაფიქსირებული ზედდების გაუქმების საკითხი და მიწის არსებით შემადგენელ ნაწილზე მისაკუთვნებელი მიწის ნაკვეთის განსაზღვრასთან დაკავშირებული **145** საკითხი. აქედან:

- ✓ განმცხადებლისთვის დადებითად გადაწყდა - **46** საკითხი.
- ✓ განმცხადებლისთვის უარყოფითად გადაწყდა - **59** საკითხი.
- ✓ განხილვა გადავადდა - **40** საკითხი.

- **სახელმწიფო ქონების მართვა-განკარგვა**

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს უმნიშვნელოვანეს საზრუნავს წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების მართლზომიერი განკარგვა. ამ მხრივ გასული კვარტლის განმავლობაში შემდეგი სამუშაოები იქნა ჩატარებული:

- ❖ სახელმწიფო უწყებებზე/საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე გადაცემული უძრავი ქონება - **166** ობიექტი. აქედან სახელმწიფო უწყებებისათვის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა რეგიონების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

რეგიონი	რაოდენობა	კვ.მ.
1 ქვემო ქართლი	5	2935
2 შიდა ქართლი	2	40603
3 კახეთი	2	10329
4 სამცხე-ჯავახეთი	7	394460
5 იმერეთი	14	192035
6 სამეგრელო	31	133174
<b>ჯამი</b>	<b>61</b>	<b>773536</b>



- ❖ თვითმმართველი ერთეულებისათვის გადაცემული უძრავი ქონება - **265** ობიექტი. აქედან თვითმმართველი ერთეულებისთვის გადაცემული სახელმწიფო ქონება რეგიონების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

	რეგიონი	რაოდენობა	კვ.მ.
1	ქვემო ქართლი	15	73138.35
2	შიდა ქართლი	35	167490.69
3	კახეთი	26	168439
4	სამცხე-ჯავახეთი	17	46332.4
5	იმერეთი	47	115808.96
6	სამეგრელო	50	552202
	<b>ჯამი</b>	<b>190</b>	<b>1123411.4</b>

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გაცემული თანხმობა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებად რეგისტრაციაზე - **132**.
- ❖ საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ **449** იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახი დააკმაყოფილა უძრავი ქონებით. გადაცემული უძრავი ქონება ჯამში 23188.65 კვ.მ.-ს შეადგენს.

### ეკომიგრანტებს საცხოვრებელი ფართების გადაცემა



საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო ლტოლვილთა სამინისტროს შუამდგომლობით 35 ეკომიგრანტ ოჯახს (207 ეკომიგრანტი) საკუთრებაში საცხოვრებელ ფართებს და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებს სიმბოლურ ფასად - ერთ ლარად გადასცემს.

აღნიშნულთან დაკავშირებით განკარგულების პროექტი უკვე გატანილია მთავრობის სხდომაზე და მისი გამოცემისთანავე ეკომიგრანტებს უძრავი ნივთები მცხეთაში, თელავში, ლაგოდეხში, სიღნაღში, ხობში, ახმეტში, მარტვილში, სენაკსა და საქართველოს სხვა რეგიონებში დაუკანონდებათ. გადასაცემი უძრავი ქონება ჯამში დაახლოებით 185 321 კვ.მეტრს შეადგენს.

## სააგენტოში მიმდინარე პროექტები

- სააგენტოს მონაწილეობა სამთავრობო პროგრამაში - „აწარმოე საქართველოში.“

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო მონაწილეობს მთავრობის ინიციატივით შემუშავებულ პროგრამაში „აწარმოე საქართველოში.“ სააგენტოს ჩართულობა ვლინდება ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფის კომპონენტში და ამისათვის საქართველოს მასშტაბით შეირჩა საწარმოო საქმიანობისათვის განკუთვნილი 110 ობიექტი.



2015 წლის 1 აპრილის მდგომარეობით, პროგრამის ფარგლებში სულ გადაცემულია **11 040 890** ლარის ჯამური ღირებულების **38** უძრავი ქონება. მოსალოდნელი ინვესტიციების ოდენობა შეადგენს **54 717 148** ლარს და დაგეგმილია **1 700** სამუშაო ადგილის შექმნა.

ასევე „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში გასულ კვარტალში გაიმართა შეხვედრა პროგრამაში ჩართული 12 ბანკის რეგიონულ წარმომადგენლებთან. შეხვედრის მიზანს ბანკების წარმომადგენლებისთვის პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ დეტალური გაცნობა და საქართველოს რეგიონებში პროგრამასთან დაკავშირებით ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდა წარმოადგენდა.



2015 წლის 3 თებერვალს მეწარმეობის განვითარების სააგენტოს ინიციატივით გაიმართა სამუშაო შეხვედრა „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის მრეწველობის ხელშეწყობის კომპონენტით მოსარგებლე მეწარმეებთან. შეხვედრას ასევე ესწრებოდა სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს

მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი ნიკა ქამუშაძე.

ღონისძიების ფარგლებში განხილულ იქნა „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის მიმდინარეობა, სააგენტოს მიერ ბოლო 1 წლის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობა, სიახლეები სალიზინგო მომსახურების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით და ცვლილება სესხის გირაოთი უზრუნველყოფასთან მიმართებაში. ასევე მიმოხილული იქნა ის გამოწვევები, რის წინაშეც რეალურად დგას მცირე და საშუალო ბიზნესი. მოხდა ბიზნესის ეფექტურად განვითარების კუთხით არსებული დაბრკოლებების იდენტიფიცირება და გადაჭრის გზებზე მსჯელობა.

- პროექტი „სოფლიდან გაუსვლელად“

სახელმწიფო ქონების განკარგვის პროცესების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით სააგენტოში მიმდინარეობს პროექტი „სოფლიდან გაუსვლელად“. პროექტი ხელს უწყობს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს საქმიანობის პოპულარიზაციას რეგიონებში და შესაბამისად ლოკალურ დონეზე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ობიექტების ეფექტურ განკარგვას. პროექტის სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენს სხვადასხვა მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა, ადგილობრივი ფერმერები, მიწათმოქმედები და მეწარმეები. აღნიშნული პროექტის პირველი კვარტლის პერიოდში სულ დაიბეჭდა **149** გამოცხადებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების (სადოვარი, სახნავები) აუქციონის შესახებ **89180** საინფორმაციო ბუკლეტი და გავრცელდა კახეთის, შიდა ქართლის, ქვემო ქართლის, ახალციხის, იმერეთის, სამეგრელოს და რაჭის რაიონების მიმდებარე 542 სოფელში. ბუკლეტების დარიგება უზრუნველყო საქართველოს ფოსტამ.



ასევე, პროექტის ფარგლებში სააგენტომ თანამშრომლობა დაიწყო „საქართველოს ფერმერთა ასოციაციასთან“. თანამშრომლობის მიზანია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე იჯარით გაცემის მიზნით გამოცხადებული ელექტრონული აუქციონების შესახებ ინფორმაციის ეფექტური გავრცელება დაინტერესებულ ფერმერებს შორის. ინფორმაცია

ყოველი ახალი გამოცხადებული აუქციონის შესახებ ვრცელდება ფერმერთა ასოციაციის ვებ-გვერდსა და Facebook-ის გვერდზე, რომელსაც თვეში საშუალოდ 6000-მდე მნახველი ყავს. თანამშრომლობა ხელს შეუწყობს უფრო მეტი დაინტერესებული პირის ჩართვას აღნიშნულ პროექტში და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდას ლოკალურ დონეზე.

- არქივის ინვენტარიზაციის პროექტი

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2013 წლის 25 ნოემბრის N 1-1/336 ბრძანების საფუძველზე სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს მართვაში გადაეცა



სამინისტროს არქივი და პასუხისმგებელია მის დამუშავებასა და ციფრულ ფორმატში გადაყვანაზე. სამინისტროს არქივი მოიცავს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 1936 წლიდან იმ ლიკვიდირებული სამინისტროების საქმიანობის პროცესში წარმოქმნილ დოკუმენტებს, რომელთა

სამართალმემკვიდრესაც წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და საქართველოს ეროვნულ არქივს შორის საარქივო მომსახურებაზე დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის მიზანია ერთიანი, დაზუსტებული ელექტრონული არქივის სისტემის შექმნა, მიმდინარეობს სსიპ ქონების ეროვნული სააგენტოს და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დოკუმენტური არქივის ელექტრონიზაცია და სისტემატიზაცია. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში 2015 წლის I კვარტალში განხორციელდა შემდეგი სამუშაოები:

- ტექნიკურად დამუშავებული საარქივო დოკუმენტაციის რაოდენობა შეადგენს - **2700 საქმე;**
- დასკანერებული საარქივო დოკუმენტაცია - **10376 საქმე;**
- საარქივო დოკუმენტაციის პროგრამული უზრუნველყოფა - **143 საქმე.**

- **ყარსი-ახალქალაქის ფარგლებში მიწების გამოსყიდვის პროექტი**

ყარსი-ახალქალაქის რკინიგზის მშენებლობის შეუფერხებელი მიმდინარეობისათვის აუცილებელი გახდა აღნიშნულ რეგიონში კერძო საკუთრებაში არსებული და ამავდროულად პროექტისათვის აუცილებელი მიწების გამოსყიდვა. საკითხის ეფექტურად გადაწყვეტისათვის მოცემული პროცესი ჩამოყალიბდა პროექტის სახით, რომლის ფარგლებშიც 2014 წელს ჯამურად გაიხარჯა 230712,60 ლარი. გასულ წელს სახელმწიფომ გამოსყიდა 40 ობიექტი, რომელთა სანაცვლოდაც კერძო მესაკუთრეებს გადაერიცხათ 201082,60 ლარი. პროექტი დასასრულს მიუახლოვდა და მცირედი გამონაკლისების გარდა, რომელთა რაოდენობაც საერთო სიმრავლის 5%-ს შეადგენს, ყველა საჭირო ობიექტი იმყოფება სახელმწიფო საკუთრებაში.



- **სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სტრატეგიული დაგეგმვის პროექტი**

„სინერჯი ჯგუფის“ დახმარებით სააგენტომ 2014 წელს შეიმუშავა ახალი ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელსაც სააგენტოს წინაშე მდგარი მთავარი გამოწვევებისათვის უნდა ეპასუხა. ახალი სტრუქტურა 2014 წლის მარტიდან შევიდა ძალაში და 8 თვის მუშაობის შედეგად გამოვლინდა მისი ეფექტურობის შეფასების საჭიროება.



2014 წლის ბოლოს საკონსულტაციო კომპანია „სინერჯი ჯგუფთან“ გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე „სინერჯი ჯგუფი“ სააგენტოსთან ერთად შეიმუშავებს ორგანიზაციის 2015-2018 წლების სტრატეგიულ გეგმას, ასევე ერთობლივად გამოავლენს სააგენტოს ახალი ორგანიზაციული სტრუქტურის ძირითადი ხარვეზებს, მოამზადებს რეკომენდაციებს აღმოჩენილი ხარვეზების გამოსასწორებლად.

2015 წლის სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით სინერჯი ჯგუფის მიერ განხორციელდა გასაუბრებების/ინტერვიუების ჩატარება სააგენტოს მენეჯმენტთან, ასევე SWOT ანალიზის შედგენა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სააგენტოს ყველა სტრუქტურული ერთეულმა. შემდგომ ტოპ მენეჯმენტის მიერ მოხდა ერთ წლიან პერიოდში ექვსი სტრატეგიული ამოცანის დასახვა და თითოეულ ამოცანის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა. შემდეგი ნაბიჯი იყო 2015 წლის სამოქმედო გეგმის ცალკეულ ამოცანაზე მომუშავე ჯგუფების შემადგენლობების შეთანხმება და შეხვედრების ჩატარება, სადაც მოხდა კონკრეტული ღონისძიებების დაგეგმვა, კერძოდ თითოეული ამოცანის შესასრულებლად დაიგეგმა ქმედებები.

ახალი ორგანიზაციული სტრუქტურის შეფასების შედეგად გამოვლინდა ცვლილებების განხორციელების საჭიროება:

- მომსახურებაში არსებული ხარვეზების გამოვლენის და რეაგირების სისტემის დანერგვის მიზნით „ხარისხის კონტროლის მენეჯერის“ გამოყოფა და ხარისხის კონტროლის ჯგუფის შექმნა.
- რეგიონების მართვის მოდელის დახვეწა - ტერიტორიული ერთეულების შესაბამისი რგოლების პარალელური დაქვემდებარება და ანგარიშვალდებულება არსებულ დეპარტამენტებთან.
- პრივატიზების დეპარტამენტის და მომსახურების მხარდაჭერის დეპარტამენტის პასუხისმგებლობების ეფექტური გადანაწილება და მკაფიოდ გამიჯვნა.



თებერვალის თვეში სააგენტოს 2015 წლის სამოქმედო გეგმების ფორმირების და მართვის პროექტის ფარგლებში გაფართოებული გასვლითი შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაზე განხილულ იქნა სტრატეგიული ამოცანების გადაწყვეტის გზები და სპიკერების მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული ამოცანების პრეზენტაციები. ამოცანების განხილვისას შეხვედრის მონაწილეებმა გამოთქვეს მოსაზრებები თითოეული საკითხის გარშემო. შეხვედრაზე ასევე გამოიკვეთა განსაზღვრულ ამოცანებზე/ქმედებებზე პასუხისმგებელი სამსახურები. გაფართოებული შეხვედრის

შემდგომ მოხდა ყველა ამოცანის კიდევ ერთხელ მცირე ჯგუფებში განხილვა, რის შემდგომაც სამსახურებს გაეგზავნათ სტრუქტურული ერთეულების მიხედვით გადანაწილებული 2015 წლის სამოქმედო გეგმები.

მეორე კვარტალში იგეგმება შემდეგი გასვლითი შეხვედრა, სადაც შეჯამებული იქნება SWOT ანალიზის შედეგები, 2015 წლის სამოქმედო გეგმები და მისი განხორციელების ვადები. ასევე ამ შეხვედრაზე იგეგმება მისიის, ხედვის და პრიორიტეტების გადახედვა სამწლიან ჭრილში და სააგენტოს 2016-2018 წლების საშუალოვადიანი სტრატეგია განხილვა.

## სააგენტოს პირველი კვარტლის საქმიანობის შეჯამება

მოცემულ ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ განვლილმა საანგარიშო პერიოდმა სააგენტოსათვის საკმაოდ ნაყოფიერად და პროდუქტიულად ჩაიარა. იმ ძირითადი მიმართულებებით რა კუთხითაც სააგენტო აქტიურად ცდილობს განვითარდეს, მნიშვნელოვანი ნაბიჯები იქნა გადადგმული.

მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების კუთხით, შეიქმნა „მომსახურების ხარისხთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი ჯგუფი“ და დაგეგმვა კონტროლის სამსახურიდან გამოიყო „მომსახურების კონტროლის ხარისხის მენეჯერი“, ასევე რეგიონალური მომსახურების ცენტრში მოეწყო მოქალაქეთა სივრცის ერთიანი კორპორატიული ინტერიერი. გარდა ამისა, აქტიურად მიმდინარეობს ვებ-პორტალის დანერგვაზე მიმართული ღონისძიებები, რაც საბოლოო ჯამში მომხმარებელს მისცემს შესაძლებლობას მიიღოს უფრო მაღალხარისხიანი და სწრაფი მომსახურება.

ინვენტარიზაციის პროექტის ფარგლებში გასულ კვარტალში ორგანიზაციული კუთხით მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა, შესაბამისად შემდეგ კვარტალში დაგეგმილია უკვე მთელი საქართველოს მასშტაბით სრული დატვირთვით სამუშაოების განხორციელება. ხოლო ინვენტარიზაციის სრულმასშტაბიანი პროექტის მთლიანობაში დასრულება

საშუალებას მისცემს სააგენტოს ზუსტი სურათი ქონდეს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ქონების შესახებ, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს მისი რაციონალური განკარგვის უზრუნველყოფას.

სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ საწარმოთა რიცხვის შემცირება და მათი რაოდენობის გონივრულ მინიმუმამდე დაყვანა საშუალებას მისცემს სააგენტოს უფრო ეფექტურად მართოს არსებული რესურსები და უზრუნველყოს მათი განვითარება და მომგებიანობა.

სააგენტოს ჩართულობა ბიზნეს გარემოს განვითარებაზე ორიენტირებულ პროექტებში, რისი ნათელი მაგალითიცაა შეტანილი წვლილი პროგრამა „აწარმოე საქართველოში“, დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე. უძრავი ქონებით უზრუნველყოფის კომპონენტში სააგენტოს მხარდაჭერამ შესაძლებლობა მისცა მრავალ ახალ მეწარმეს განეხორციელებინა ინვესტიცია, აემოქმედებინა წარმოება და შეექმნა ახალი სამუშაო ადგილები.